სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

18 / მარტი / 2025 წ.

KA080154667960525

№ **957**

განკარგულება

შპს „გაბ სოლუშენსის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“;

ტენდერის ნომერი: NAT240009631;

შესყიდვის ობიექტი: 34900000 – სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები;

მიმწოდებელი: შპს „გაბ სოლუშენს“ (ს/ნ: 402005218);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 22 იანვარს წარმოდგენილ იქნა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2025 წლის 22 იანვრის № 01/420 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 516), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გაბ სოლუშენსის“ (ს/ნ: 402005218) მიერ NAT240009631 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 11 ივლისის № 0300/30/176 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის info@gab.ge მეშვეობით, 2025 წლის 28 იანვარს № 219 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა სააგენტოში 2025 წლის 4 თებერვალს წარმოადგინა 2025 წლის 3 თებერვლის განმარტება (რეგისტრაციის №1081) NAT240009631 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2024 წლის 11 ივლისის № 0300/30/176 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელი არ ასრულებდა 2024 წლის 11 ივლისის №0300/30/176 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის გამოც ცალმხრივად შეწყდა ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მოწოდება უნდა განხორციელებულიყო ჩინეთიდან, მაგრამ საქართველოდან ჩინეთში საბანკო ტრანზაქციების განხორციელება მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული, ასევე გართულებული იყო შეკვეთების განთავსება, ვინაიდან ტრანსპორტირების დოკუმენტის გარეშე გადარიცხვა იყო შეუძლებელი. მიმწოდებელი მიუთითებს, რომ ხელშეკრულება გააფორმა ექსპორტიორ კომპანიასთან, სადაც მიწოდების პირობად განისაზღვრა CIF ფოთი, საქართველო (ინკოტერმსი 2020), რაც იმას ნიშნავდა, რომ ტვირთის ფოთამდე მოწოდებაზე პასუხისმგებელი იყო ექსპორტიორი. საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა აკრედიტივის გაცემიდან 90 დღე. 2024 წლის 10 ოქტომბერს ექსპორტიორი კომპანიის წარმომადგენლისგან მიიღო ინფორმაცია, რომ მწარმოებელს უკვე დასრულებული ჰქონდა წარმოება (შესაბამისად რელსები მზად იყო ტრანსპორტირებისთვის), მაგრამ ვერ ხერხდებოდა შესაბამისი გემის მოძიება. მიმწოდებლის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტირების საკითხი არ წარმოადგენდა მის პასუხიმგებლობას, სხვადასხვა გადამზიდავ კომპანიას სთხოვა დაემუშავებინათ შეკვეთა ტვირთის ტრანსპორტირების თაობაზე, თუმცა ვერც ამ კომპანიებმა შეძლეს შეკვეთის შესრულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, იგი იძულებული გახდა 2024 წლის 12 დეკემბერს გაეზარდა აკრედიტივის ვადა, მაგრამ მისი მცდელობის მიუხედავად, ტრანსპორტირების გზა ვერ მოიძებნა და ექსპორტიორმა კომპანიამ ტვირთის გამოგზავნა ვერ შეძლო. მიმწოდებელი განმარტავს, რომ მისთვის უცნობი იყო ტვირთის მიწოდების სამომავლო პერსპექტივაც, ვინაიდან არ ფლობდა არანაირ ინფორმაციას, თუ რასთან იყო დაკავშირებული შესაბამისი არასტანდარტული გაბარიტების მქონე ტვირთის გადასაზიდად საჭირო დიდი გემების დეფიციტი, რის შესახებაც აცნობა შემსყიდველ ორგანიზაციას. ამდენად, მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ მან ყველაფერი გააკეთა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად (მხოლოდ ბანკთან ურთიერთობაში (აკრედიტივის გაცემა და ა.შ.) პროექტის მიზნებისთვის გაწეულმა საპროცენტო და სხვა ხარჯებმა თითქმის 100 000 ლარს მიაღწია), მაგრამ ხელშეკრულება ვერ შესრულდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 11 ივლისს, NAT240009631 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „გაბ სოლუშენსს“ (ს/ნ: 402005218) შორის დაიდო № 0300/30/176 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 180 კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უნდა მიეწოდებინა რელსები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 1 974 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 8 მარტი.

4.2. მიმწოდებელმა 2025 წლის 8 იანვრის №080125-001 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ რელსების ტრანსპორტირება უნდა განხორციელებულიყო ჩინეთიდან. საქონელი 2024 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან მზად იყო ტრანსპორტირებისთვის და მან დაიწყო მუშაობა გადამზიდავ კომპანიებთან, რათა საქონლის მიწოდება განხორციელებულიყო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ, იმის გათვალისწინებთ, რომ რელსები, მისი სიგრძიდან გამომდინარე, წარმოადგენს არაგაბარიტულ ტვირთს და მათი ტრანსპორტირებისთვის საჭირო იყო სპეციალური გემი, ტრანსპორტირების დროულად დაწყება ვერ მოხერხდა. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ იგი მუშაობდა არაერთ გადამზიდავ კომპანიასთან, მაგრამ მოცემულ დრომდე ჩინეთიდან არ გამოსულა არცერთი გემი, რომელსაც აღნიშნული ტვირთის ტრანსპორტირება შეეძლო, შესაბამისად, ვერცერთი გადამზიდავი კომპანიის მიერ ვერ მოიძებნა ტრანსპორტირების ვარიანტი და აღნიშნულ დრომდე გაურკვეველი იყო როდის მოხერხდებოდა ტვირთის ტრანსპორტირების დაწყება. მიმწოდებელი ასევე აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობი იყო რამ გამოიწვია არაგაბარიტული ტვირთისთვის მარშრუტების გაიშვიათება და აღნიშნული გარემოების წინასწარ გათვალისწინება მას არ შეეძლო. ამავე წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის განხილვის მიზნით.

4.3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2025 წლის 15 იანვრის № 01/262 წერილით მიმწოდებელს, № 080125-001 წერილის პასუხად, აცნობა, რომ იგი არ იყო თანახმა, აღნიშნულ წერილში დაფიქსირებული გარემოების (შესაბამისი გაბარიტის სპეციალური ტრანსპორტის მოუძიებლობა) საფუძველზე, ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულების შეწყვეტაზე. ამავე წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ ცალმხრივად შეწყვიტა №0300/30/176 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გაბ სოლუშენსს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებასა და 2025 წლის 8 იანვრის № 080125-001 წერილში მითითებულ გარემოებებზე და განმარტავს, რომ მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე შესაძლებლობა ჰქონდა მოეძიებინა ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის, მათ შორის, აღნიშნული საქონლის ტრანსპორტირების შესაძლებლობის შესახებ, დარწმუნებულიყო საკუთარ შესაძლებლობებში, რომ შეძლებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროს შესრულებას, და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე. სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ მიმწოდებელი, როგორც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მხარე, პასუხს აგებს მწარმოებელი/გადამზიდი კომპანიის შერჩევაზე, შესაბამისად, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელის მიერ პროდუქციის მიუწოდებლობაზე/ მიწოდების დაგვიანებაზე. ამდენად, აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება არ შესრულდა, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში იძებნება ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული არაერთი ხელშეკრულების შესახებ, კერძოდ, მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება და, შესაბამისად, კმაყოფილდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „გაბ სოლუშენსის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გაბ სოლუშენსს“ (ს/ნ: 402005218) 2025 წლის 19 მარტს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე